ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

2016 წელს ექსპლუატაციაში შესული ჰესების (164.9 მგვტ.) ჯამური გენერაცია 2017 წლის ჰიდრო გენერაციის დაახლოებით 5.7%-ს შეადგენს. დერეგულირებული ჰესების გამომუშავება უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა დეკემბრის თვეში (+27.5% წ/წ). ზრდის უდიდესი წილი მოდის 108 მგვტ.-იან დარიალჰესის გამომუშავებაზე, რომელმაც ნოემბრის თვიდან მოყოლებული 22.1 მლნ. კვტ.სთ.-ს მიაღწია, ხოლო 2017 წელს დაგეგმილი გამომუშავება 464.5 მლნ. კვტ.სთ.-ს შეადგენს. 2016 წელს ექსპლუატაციაში შესულ სადგურებს შორისაა დებედაჰესი (3.0 მგვტ.), შაქშაჰეთიჰესი (1.5 მგვტ.), მაქსანიაჰესი (0.5 მგვტ.) და საგურამოჰესი (4.4 მგვტ.). ხელვაჩაურიჰესი (47.5 მგვტ.) ამჟამად ტესტირების რეჟიმშია და გენერაციის ლიცენზიას 2017 წელს აიღებს. თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ის მიერ აშენებული ხელვაჩაურიჰესი არის კასკადის პირველი დასრულებული სადგური, რომელიც კირნათიჰესთან და ხელვაჩაური 2 ჰესთან ერთად (მათი მშენებლობა უახლოეს წლებში დასრულდება) ქსელს წლიურად დაახლოებით 512.7 მლნ. კვტ.სთ. ენერგიას მიაწოდებს.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები	
დეკემბერში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	4.2 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე
დეკემბერში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	6.5 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე
დეკემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.4 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე
დეკემბერში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.8 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 2016, კვტ.სთ.	6.2%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 2016, კვტ.სთ.	-15.3%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 2016, კვტ.სთ.	-29.8%

**საშუალო გაცვლითი კურსი დეკემბერში GEL/US$ = 2.6511; TRY/US$ =3.4889*
***დეკემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.107 გვტ.სთ.)*

ნამახვანჰესების კასკადის მშენებლობაზე მომავალი 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 733 მლნ. დოლარი დაიხარჯება. ენგურისა და ხუდონის შემდეგ საქართველოში სიდიდით მესამე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის (433 მგვტ.) მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება მოიპოვა ნორვეგიული კომპანია Clean Energy Group-ის შვილობილმა კომპანიამ. ინვესტორის შერჩევის მიზნით ინტერესთა გამოხატვა ჩაატარა პროექტის მიმდინარე მფლობელმა, კომპანია შპს „ნამახვანმა“, რომელიც არის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (GEDF) შვილობილი კომპანია. კომპანიების წინასწარი შერჩევა განხორციელდა მათი გამოცდილების და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხოლო საბოლოო გამარჯვება Clean Energy Georgia-ს მოუტანა მათ მიერ მთავრობისგან მოთხოვნილი ტარიფის პირობებმა (ესკოსთან გასაფორმებელი PPA-ს პირობები). ინვესტორმა მოითხოვა ფიქსირებული ტარიფი ოპერირების პირველი 10 წლისთვის, მხოლოდ სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით რვა-თვიანი პერიოდისთვის. ჯამური მოსალოდნელი წლიური გამომუშავება შეადგენს 1,514 მლნ. კვტ.სთ.-ს, რაც 2022 წლისთვის პროგნოზირებული ქვეყნის მოხმარების 11.0%-ს შეადგენს.

მზის ელექტროსადგურების პოტენციალი საქართველოში. საქართველოს მთავრობამ მზის ელექტროსადგურების პოტენციალის შესწავლის მიზნით გააფორმა მემორანდუმი სს „კავკასიის მზის კომპანიასთან“ შემდგომი ათი პროექტისათვის: ქსანი, მარნეული, კასპი, გლდანი, ახალციხე 1 და 2, გარდაბანი 1 და 2, სააკაძე, ალგეთი. პირველადი გათვლების მიხედვით, თითოეული პროექტის სიმძლავრე 50 მგვტ.-ია. 18-თვიანი კვლევის ეტაპის დასრულების შემდეგ დაზუსტდება სადგურების დადგმული სიმძლავრე და საჭირო ინვესტიციის მოცულობა. დღეისათვის არსებობს კიდევ ორი შესწავლის ეტაპზე მყოფი, შედარებით მცირე ზომის მზის ელექტროსადგურის პროექტი: კახეთის რეგიონში, დაახლოებით 5 მგვტ.-იანი სადგური უდაბნოს შესწავლას ახორციელებს GEDF, ხოლო მეორე სადგურის კვლევას, ქვემო ქართლის რეგიონში, აწარმოებს შპს „მზის ენერგიის კომპანია“ (დაახლოებითი სიმძლავრე 50 მგვტ.).

GEDF ეძებს პარტნიორს 150 მგვტ.-იანი ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის პროექტის ერთობლივი განვითარებისათვის. წინასწარი კვლევის მიხედვით, მოიაზრება 50 ქარის ტურბინის დადგმა, პროექტის ჯამური ღირებულება კი 227 მლნ. დოლარს აღწევს. ინვესტორის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი ინვესტორის მიერ GEDF-ის წილის გამოსყიდვის (call option) და მიყიდვის (put option) ოფციების განაკვეთებია, რომლებიც გააქტიურდება კვლევის ეტაპის დასრულების შემდგომ. GEDF თურქულ კომპანია Calik Enerji Sanayi ve Ticaret A.S-თან ერთად აგრეთვე ანვითარებს 150 მგვტ.-იან ცენტრალური ქარის ელექტროსადგურს იმერეთის რეგიონში და 50 მგვტ.-იან ნიგოზას ქარის ელექტროსადგურს ქართლის რეგიონში ერთობლივი შვილობილი კომპანია სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ის მეშვეობით. GEDF-ის წარმატებით განხორციელებულ პროექტთა რიცხვშია გორის ქარის ელექტროსადგური, რომელმაც ოპერირება დაიწყო ნოემბრის თვეში. გორის სადგურის გამომუშავებამ დეკემბერში ქსელისთვის მიწოდებული ჯამური ელექტროენერგიის 0.6% შეადგინა.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი, 2016 წლის დეკემბერი

დეკემბერში შიდა მოხმარება წლიურად 14.5%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები თელასისა და პირდაპირი მომხმარებლების გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება დეკემბერში წლიურად 12.6%-ით არის გაზრდილი, დიდწილად თბილისის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე (+20.5% წ/წ). ენერგო-პროს მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა წლიურად 8.4%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი წლიურად 6.0%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება დეკემბერში წლიურად 9.2%-ით არის გაზრდილი. პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა გაიზარდა წლიურად 44.3%-ით, 2015 წლის დეკემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-28.6% წ/წ). ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებლის (81.4%), ჯორჯიან მანგანეზის მოხმარების ზრდაა (+71.7% წ/წ), 2015 წლის დეკემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-36.4% წ/წ). ელექტროენერგიის ექსპორტი დეკემბერში უმნიშვნელო იყო. განხორციელდა მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით (134.4 გვტ.სთ.).

ნინო პაპავა
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
მარიამ ჩახვაშვილი
ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2016 წლის დეკემბერში დიდწილად საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიით მოხდა. იმპორტი წინა წლის დეკემბერთან შედარებით შემცირდა 72.7%-ით და ქსელისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 2.8% შეადგინა. იმპორტის 58.8% განხოციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთის ფედერაციიდან. შიდა წარმოება წლიურად 26.7%-ით გაიზარდა, აქედან თბოსადგურების გენერაცია (ჯამურის 40.8%) გაიზარდა 50.9%-ით. ახალაშენებულმა ქართლის ქარის ელექტროსადგურმა დეკემბერში გამოიმუშავა 7.2 მლნ. კვტ.სთ. და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 0.6% შეადგინა. ჰიდროსადგურების გენერაცია გაიზარდა 12.4%-ით წინა წლის დეკემბერთან შედარებით, ნოემბრის საკმაოდ მაღალი ზრდის (+17.0% წ/წ) შემდეგ. ჰესების წარმოების გაზრდა ძირითადად გამოწვეულია ენგურის და ვარდნილის (+43.3% წ/წ) და დერეგულირებული ჰესების (+27.5% წ/წ) გამომუშავების ზრდით. დერეგულირებული სადგურების გამომუშავება გაზრდილია ახალაშენებული სადგურების გამომუშავების ხარჯზე. 2016 წლის დეკემბრის თვეში გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა 63.4%-ით წინა დეკემბერთან შედარებით და შეადგინა 0.25 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე. საფასურის შემცირება განპირობებული იყო იმით, რომ სადგურების მიერ გარანტირებული სიმძლავრე უზრუნველყოფილი იყო შეზღუდული რაოდენობის დღეებით: გარდაბნის თბოსადგურმა გარანტირებული სიმძლავრე უზრუნველყო 7 დღის, მე-4 ბლოკმა - 8 დღის, ხოლო ჯი-ფაუერმა და მტკვარი ენერგიამ 25 დღის განმავლობაში.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

დეკემბერში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 23.3%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 4.2 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 35.2%-ით ნაკლებია თურქეთის საბაზრო ფასზე. საბაზრო ფასი თურქეთში გაიზარდა 12.6%-ით 2015 წლის დეკემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-24.5% წ/წ) და კვტ.სთ.-ზე 6.5 აშშ ცენტი შეადგინა. 2016 წლის დეკემბერში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 22% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: ექსპორტი 2016წ. დეკემბერში იყო უმნიშვნელო (0.107 მლნ. კვტ.სთ.)

ელექტროენერგიის მოხმარება, ექსპორტი და გენერაცია 2016 წელს

2016 წელს ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 6.2%-ით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდაში ძირითადი წვლილი მიუძღვის თელასის აბონენტების მოხმარების 15.3%-იან ზრდას, რაც 2015 წლის ზრდის ტემპს (7.5%) ორჯერ აღემატება. აფხაზეთის მოხმარება 2016 წელს გაიზარდა წლიური 7.0%-ით. ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება გაიზარდა 3.3%-ით 2016 წელს, რაც ოდნავ ჩამოუვარდება წინა წლის ზრდის ტემპს (4.3%). კახეთის ენერგო დისტრიბუციის მოხმარება მხოლოდ 1.9%-ით გაიზარდა, წინა წლებში საკმაოდ დიდი ზრდის ტემპების (2015 – 8.4%, 2014 – 8.1%) შემდეგ. პირდაპირი მომხმარებლების ჯამური მოხმარება 2016 წელს 1.0%-ით შემცირდა, თუმცა, აღნიშნული შემცირება, 2016 წელს რუსთავის წყალის პირდაპირი მომხმარებლის სტატუსზე უარის თქმის შედეგია. ყველაზე მსხვილი მომხმარებლის, ჯორჯიან მანგანეზის, მოხმარება 4.4%-ით არის გაზრდილი 2015 წლის დაბალი ბაზიდან (-20.3% წ/წ).

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის მოხმარება, 2016 (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

გრაფიკი 8: სადისტრიბუციო კომპანიების მოხმარება, 2016 (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

შიდა გენერაციის წყაროებმა თითქმის სრულად დააკმაყოფილეს გაზრდილი მოხმარება 2016 წელს. ადგილობრივი სადგურების გენერაცია 6.8%-ით გაიზარდა და სრულად მიწოდებული ელექტროენერგიის 96.0% შეადგინა. ჰიდროსადგურების გენერაცია გაიზარდა 10.4%-ით, ხოლო თბოსადგურების გენერაცია შემცირდა 6.0%-ით. ჰესების გენერაციის ზრდა ძირითადად ენგურ-ვარდნილის (+7.8% წ/წ) და სხვა მარეგულირებელი სადგურების (+11.9% წ/წ) გენერაციის ზრდამ გამოიწვია, ხოლო დერეგულირებული სადგურების გენერაცია გაიზარდა 16.6%-ით წ/წ. ჯამურად გამომუშავებული და იმპორტირებული ელექტროენერგიის 91.3% მოხმარებულ იქნა ქვეყნის შიგნით, 4.6% გავიდა ექსპორტზე, 4.1% კი ელექტროსადგურების საკუთარ მოხმარებაზე და ქსელის დანაკარგებზე წავიდა.

საქართველო 2016 წელს ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორი გახდა (80.1 მლნ. კვტ.სთ. წმინდა ექსპორტი). 2016 წელს ელექტროენერგიის იმპორტი 31.5%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და ჯამურად მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 4.0% შეადგინა (478.9 მლნ. კვტ.სთ.). იმპორტის 77.1% რუსეთიდან განხორციელდა, ხოლო დანარჩენი -აზერბაიჯანიდან. ელექტროენერგიის ექსპორტი 2015 წელთან შედარებით 15.3%-ით შემცირდა და 559.0 მლნ. კვტ.სთ. შეადგინა. ექსპორტი თურქეთში, ძირითად საექსპორტო ბაზარზე (წლიური ექსპორტის 52.7%), შემცირდა 29.8%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია ფარავანი ჰესის მიერ ექსპორტის განხორციელების თვეების რაოდენობის შემცირებით, „საქართველო-ურბან ენერჯი"-სთან შეცვლილი მემორანდუმის თანახმად. მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხეთის მიმართულებით ელექტროენერგიის ექსპორტი (+57.4% წ/წ). ექსპორტის 26.4% განხორციელდა რუსეთის მიმართულებით (-13.0% წ/წ). ელექტროენერგიის ტრანზიტმა 2016 წელს 849.6 მლნ. კვტ.სთ. შეადგინა.

გრაფიკი 9: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, 2016 (გვტ.სთ.)



წყარო: ესკო

გრაფიკი 10: ჰეს-ების გამომუშავება, 2016 (გვტ.სთ.)



Source: ESCO

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge